ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 15 თებერვლის **№01-10/11** ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის პერსონალისათვის დადგენილი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - სამეცნიერო კვლევების სამსახურში (შემდგომში - ,,სამსახურის“) დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება სამსახურში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. სამსახურის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
3.1. განათლება: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (უპირატესობა მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეს);
3.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება, (<u>უპირატესობა ენიჭება:</u> უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას; სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებას).
3.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**
3.3.1. საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ”;
3.3.2. საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
3.3.3. ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
3.3.4. საქართველოს კანონი ,,გრანტების შესახებ“
3.3.5. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანება;
3.3.6. ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა.
3.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - არანაკლებ B1 დონე (სასურველია ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა ან/და სხვა უცხო ენის ცოდნა);
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების,

ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; **დაგეგმვა,** ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

4. სამსახურის მთავარი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1. **განათლება:** არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (უპირატესობა მიენიჭება მაგისტრის ან/და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეს);

4.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის <u>არანაკლებ 1 წლის</u> გამოცდილება <u>(უპირატესობა ენიჭება</u> უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას);

4.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:

4.3.1. საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

4.3.2. საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

4.3.3. ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა.

4.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – **C1 დონე;**

ბ) უცხო ენის ცოდნა: სასურველია - ინგლისური ენის B1 ან მაღალ დონეზე ფლობა ან/და სხვა უცხო ენების ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.